ეროვნული ბიბლიოთეკა

კანონთა და განკარგულებათა კრებული

ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერაციული საბჭოთა რესპუბლიკის მუშათა და ვლეხთა მთავრობისა.

1929 წლის ნოემბრის 16.	№ 21 ვანყოფილება პირველი	ა/კსფსრ სახალ. კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველობის მიერ გამოცემული.

შ ი ნ ა ა რ ს ი:

მუხ. 205. შეუწყვეტელ წარმოებაზე გადასულ დაწესებულებებში მუშაობის დაწყების და დამთავრების დროის განსაზღვრისა და დასვენების და საჭმლის მიღებისათვის ნახევარი საათით მუშაობის შეწყვეტის წესის შესახებ.

„ 206. 1929-30 წლის სამშენებლო სეზონისათვის მომზადების შესახებ.

„ 207. ა/კსფსრ სახალხო მეურნეობის ქიმიზაციის ღონისძიებათა შესახებ.

„ 208. კომერციული (სამეურნეო) ანგარიშის პრინციპზე მომქმედი სახელმწიფო ორგანოებისა, შერეული სააქციო საზოგადოებებისა და კოოპერატიული ორგანიზაციების 1929-30 წ. ხარჯთაღრიცხვებით საადმინისტრაციო-სამმართველობო ხარჯების აღრიცხვის წესის შესახებ.

„ 209. შრომის ბირჟების აღნუსხვაზე მყოფ თავმდგომთა შედგენილობის დემობილიზებულ პირთა აღნუსხვისა და სამუშაოზე განაწილების ღონისძიებათა შესახებ.

„ 210. დებულება ა/კსფსრ უმაღლეს ეკონომიურ საბჭოსთან არსებული სასტანდარტიზაციო ბიუროს შესახებ.

დადგენილება № 3 საწარმოთა და დაწესებულებათა შეუწყვეტელ წარმოებაზე გადაყვანისათვის ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან დაარსებული ამიერკავკასიის მთავრობის კომისიისა.

1929 წ. ნოემბრის 1.

205. შეუწყვეტელ წარმოებაზე გადასულ დაწესებულებებში მუშაობის დაწყების და დამთავრების დროის განსაზღვრისა და დასვენების და საჭმლის მიღებისათვის ნახევარი საათით მუშაობის შეწყვეტის წესის შესახებ.

იღებს რა მხედველობაში მშრომელთა ფართო მასსებისა და პროფესიონალური და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ, დაწესებულებების შეუწყვე-

ტელ წარმოებაზე გადასვლასთან დაკავშირებით, გამოთქმულ აზრს მუშაობის დაწყებისა და დამთავრების დროის განსაზღვრის და დასვენების და საჭმლის მიღებისათვის ნახევარი საათით მუშაობის შეწყვეტის საკითხის თაობაზე,—საწარმოთა და დაწესებულებათა შეუწყვეტელ წარმოებაზე გადაყვანისათვის არსებული ამიერკავკასიის მთავრობის კომისია ადგენს:

1. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების მთავრობათა კომისიებს საწარმოთა და დაწესებულებათა შეუწყვეტელ წარმოებაზე გადაყვანისათვის—დაადგინონ შეუწყვეტელ წარმოებაზე გადასულ დაწესებულებებში მუშაობის დაწყებისა და დამთავრების დრო, რისთვისაც გამოარკვიონ წინასწარ მშრომელთა ფართო მასსებისა, პროფესიონალური და საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და დაინტერესებული უწყებების აზრი ამ საკითხის შესახებ.

2. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების საწარმოთა და დაწესებულებათა შეუწყვეტელ წარმოებაზე გადამყვან კომისიებს დაადგინონ შეუწყვეტელ წარმოებაზე გადასულ დაწესებულებებში დასვენებისა და საჭმლის მიღებისათვის ნახევარ საათით მუშაობის შეწყვეტის წესი და გაითვალისწინონ იგი შინაგანრიგების წესებში; ამასთანავე, დასვენებისა და საჭმლის მიღებისათვის ნახევარ საათით მუშაობის შეწყვეტა შემოღებულ უნდა იქნეს მხოლოდ პირველი სამსაათნახევრის მუშაობის შემდეგ.

თავმჯდომარე საწარმოთა და დაწესებულებათა
შეუწყვეტელ წარმოებაზე გადაყვანისათვის არ-
სებული ამიერკავკასიის მთავრობის კომისიისა **იაშვილი.**

პასუხისმგებელი მდივანი **სახელაშვილი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 255 №-ში 1929 წ. ნოემბრის 5-ს.

დადგენილება № 185 ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

206. 1929-30 წლის სამშენებლო სეზონისათვის მომზადების შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

ა. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ეკონომიურ თათბირებს და აგრეთვე ყველა იმ ფედერატიულ და საერთო-საკავშირო ორგანიზაციას, რომელიც ა/კსფსრ ტერიტორიაზე მშენებლობას აწარმოებს, განახორციელონ შემდეგი ღონისძიებანი:

1. დაავალონ მშენებლობის მწარმოებელ ორგანოებს:

ა) დაამთავრონ არა უგვიანეს დეკემბრის 1-სა საბოლოო პროექტების შედგენა იმ ვარაუდით, რომ ეს პროექტები დამტკიცებულ იქნეს არა უგვიანეს დეკემბრის 15-სა.

ბ) სამი დღის ვადაზე, საბოლოო პროექტების დამტკიცების შემდეგ, გაგზავნონ ეს პროექტები სამშენებლო კონტროლის სათანადო ორგანოებში შეთანხმებისა და სამშენებლო სამუშაოთა წარმოების ნებართვის მიღებისათვის.

შენიშვნა. ეს პუნქტი არა ვრცელდება გზათა სახალხო კომისარიატის მშენებლობაზე და თავდაცვის ნაგებობათა მშენებლობაზე.

გ) შეადგინონ სამშენებლო სამუშაოთა წარმოების და დაფინანსების საკალენდრო გეგმები ისეთი ვარაუდით, რომ ეს გეგმები გაგზავნილ იქნეს დამაფინანსებელ ორგანიზაციებთან შეთანხმებისათვის არა უგვიანეს დეკემბრის 25-სა.

შენიშვნა. დამაფინანსებელ ორგანიზაციებს აღნიშნული გეგმების შეთანხმაბისათვის ეძლევათ ხუთი დღის ვადა.

დ) დაამთავრონ მუშაობის დაწყებისათვის საჭირო სამუშაოთა ნახაზების შედგენა არა უგვიანეს თებერვლის 1-სა.

2. საშენი მასალის ყიდვა-მიწოდების ხელშეკრუბებები დადებულ უნდა იქნეს არა უგვიანეს 1930 წ. იანვრის 1-სა, ხოლო დიდრონი მასალა (საყორე-ქვა, ხრეში, ქვიშა და სხვ.) შენების ადგილას მიზიდულ უნდა იქნეს შემოდგომისა და ზამთრის პერიოდში, ე. ი. მინდვრის მუშაობის დაწყებამდე.

3. სამშენებლო ორგანიზაციებთან ხელშეკრულობები დადებულ უნდა იქნეს არა უგვიანეს 1929 წ. დეკემბრის 25-სა.

4. დაევალოს სახელმწიფო სამშენებლო ორგანიზაციებს—1929 წ. სამშენებლო სეზონში მიიმაგრონ 1930 წლის სამუშაოთა საწარმოებლად მშენებელი ორგანიზაციებისათვის საშუალო სეზონში საჭირო კვალიფიციური მუშების რიცხვის ორმოცდაათი პროცენტი მაინც, აგრეთვე საშენი მასალის მწარმოებელი მუშები—ასი პროცენტის რაოდენობით.

5. დაევალოს მშენებელ და სამშენებლო ორგანიზაციებს წარადგინონ არა უგვიანეს 1930 წ. იანვრის 15-სა შრომის ორგანოებში განცხადებები მშენებელი მუშების მოთხოვნილების შესახებ 1930 წ. სეზონისითვის, კვალიფიკიციაზე დაყოფით, და არა უგვიანეს 1930 წ. თებერვლის 15-სა დასდვან ხელშეკრულებები იმავე ორგანოებთან საჭირო მუშა-ძალით მშენებლობის უზრუნველყოფის შესახებ.

ამასთან ერთად დაევალოს შრომის ორგანოებს—მიიღონ ყოველი ღონისძიება დადებული ხელშეკრულებების სავსებით შესრულებისათვის.

6. წინადადება მიეცეს იმავე ორგანიზაციებს იხმარონ ღონისძიება, რათა ზამთრის სეზონი მაქსიმალურად იქნეს გამოყენებული, განსაკუთრებით სამომზადებლო სამუშაოთათვის.

7. ნებადართულ იქნეს ბრონირებული მინიმუმით გათვალისწინებული მშენებლობის სამომზადებლო სამუშაოთა (მასალის დამზადება, დამხმარე გამართულებანი და სხვ.) დაწყება საბოლოო პროექტის დამტკიცებამდეც, ხოლო საამისო განსაკუთრებული ნებართვა მიღებულ უნდა იქნეს პროექტის დამამტკიცებელ ორგანოებისაგან.

წინადადება მიეცეს იმავე ორგანიზაციებს და მშენებელ უწყებებს იხმარონ ღონისძიებანი, რათა სეზონში სამშენებლო მუშაობის განვითარების მომენტისათვის მუშები უზრუნველყოფილ იქნენ საცხოვრებელი სადგომებით.

8. დაევალოს ყველა მშენებელ უწყებას და სამშენებლო ორგანიზაციას, არა უგვიანეს ნოემბრის 25-სა, აცნობონ ამიერკავკასიის რკინის გზების გამგეობასთან არსებულ გადაზიდვათა სარაიონო კომიტეტს საშენი მასალების გადაზიდვის საორიენტირო საჭიროება და ვადები, ხოლო გაზუსტებული ცნობები იანვრის 1-თვის.

9. დაევალოს სახელმწიფო სამშენებლო და მშენებელ ორგანიზაციებს შეიმუშაონ და შეუთანხმონ პროფესიონალურ კავშირთა სათანადო ორგანოებს რაიონობრივი ნაჭრობითი შეფასებანი იმ წესით, რაც აღნიშნულია შრომისა და თავდაცვის საბჭოსთან არსებული სამშენებლო კომისიისა, სსრკ-ის სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს, გზათა სახალხო კომისარიატისა და მშენებელთა კავშირის ცენტრალური გამგეობის 1928 წ. დეკემბრის 20-ს დირექტივებში.

ბ. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატსა და მშენებლობის დამაფინანსებელ და დამაკრედიტებელ ორგანოებს:

1. მშენებლობის საფინანსო გეგმასა და ლიტ. ა-ის მე-7 პუნქტში აღნიშნული ნებართვის საფუძველზე დაყრდნობით—1929-30 წლის 1-ლ კვარტალში გასცენ სახსარი მასალების სამომზადებლო და დაწყებითი სამუშაოების საწარმოებლად, ნამდვილი საჭიროების მიხედვით, სამშენებლო სამუშაოთა წლიური გეგმის ოცდახუთმეტ პროცენტამდე.

2. მოუსპონ კრედიტების მიცემა იმ მშენებლობათა, რომელნიც არ შეასრულებენ ამა დადგენილების ლიტ. ა-ის 1-ლ პუნქტში აღნიშნულ წინადადებებს.

შენიშვნა. ამა დადგენილების ლიტ. ა მე-2 პუნ. გამონაკლისი შეიძლება თითოეულ კონკრეტულ შემთხვევაში ა/კსფსრ უმაღლესი ეკონომიური საბჭოს განსაკუთრებული ნებართვით ზე-ლიმიტური სამრეწველო მშენებლობისათვის და 1-ლი კატეგორიის არასამრეწველო მშენებლობისათვის, ან ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ეკონომიური თათბირების ნებართვით—სხვა დანარჩენ მშენებლობათათვის, სათანადო სამშენებლო კომიტეტების დასკვნის საფუძველზე.

გ. დაევალოს ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატს:

1. მიიღოს ღონისძიებანი საშენი მასალის მრეწველობის საიმპორტო გაწყობილობის შემოზიდვისათვის საწარმოთა მშენებლობის გაშლის ვადებთან შესაბამისად.

2. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატთან არსებულ სადეფიციტო მასალების გამნაწილებელ მუდმივ საუწყებათაშორისო თათბირს—შეადგინოს ორი კვირის ვადაზე, ა/კსფსრ-თვის გამოყოფილი საშენი მასალების ფონდების შესახებ ცნობების მიღების შემდეგ, საშენი მასალების რესპუბლიკებზე განაწილებისა და შეზიდვის გეგმა.

3. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატს, ამიერკავკასიის სამომხმარებლო კოოპერატივების კავშირთან ერთად, შეიმუშაოს არა უგვიანეს 1930 წლის თებერვლის 1-სა საკითხი დიდრონი სამშენებლო პუნქტების მუშათა სურსათით უზრუნველყოფის თაობაზე.

4. მიენდოს ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატს, ამიერკავკასიის სატეხნიკო-სამშენებლო კომიტეტთან შეთანხმებით, გამოსცეს, არა უგვიანეს 1929 წ. ნოემბრის 25-სა, სამშენებლო ორგანიზაციების მიერ მათთვის 1930 წ. სეზონში საჭირო მშენებელ მუშათა კადრების მიმაგრების წესები.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ა. ბეგზადიანი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ნ. ბახტაძე.**

1929 წ. ნოემბრის 14. ტფილისი—სასახლე.

დადგენილება № 184 ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

207. ა/კსფსრ სახალხო მეურნეობის ქიმიზაციის ღონისძიებათა შესახებ.

რადგანაც თანდროული ქიმია სახალხო მეურნეობის ინდუსტრიალიზაციის საქმეში ერთი გადამწყვეტი ფაქტორთაგანია, ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. მოეწყოს ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან ა/კსფსრ-ის ქიმიზაციის კომიტეტი.

2. კომიტეტის პერსონალურ შედგენილობას დაამტკიცებს ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო. იგივე დანიშნავს კომიტეტის თავმჯდომარეს, თავმჯდომარის მოადგილეებს, პრეზიდიუმის წევრებს და სწავლულ მდივანს.

3. 1-ლ მუხლში აღნიშნული კომიტეტის გამგებლობის საგანს შეადგენს:

ა) შეიმუშაოს და წარუდგინოს დასამტკიცებლად ა/კსფსრ მთავრობას ძირითადი დირექტივები ა/კსფსრ სახალხო მეურნეობის ქიმიზაციის თაობაზე, აგრეთვე შეიმუშაოს, როგორც ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს და უმაღლესი ეკონომიური საბჭოს დავალებით, ისე თვით კომიტეტის ინიციატივით, ა/კსფსრ სახალხო მეურნეობის ქიმიზაციასთან დაკავშირებული პრობლემები;

ბ) მიიღოს ა/კსფსრ ქიმიზაციის საქმის დამხმარე ღონისძიებანი „სსრკ-ის სახალხო მეურნეობის ქიმიზაციის ღონისძიებათა შესახებ“ გამოცემული სსრკ-ის სახალხო კომისართა საბჭოს 1928 წ. აპრილის 28-ს დადგენილების (სსრკ კან. კრ. 1928 წ. 25 №-რი, მუხ. 222) შესაბამისად;

გ) საერთო მეთვალყურეობა გაუწიოს სათანადო ორგანოების მუშაობას ა/კსფსრ სახალხო მეურნეობის ქიმიზაციის სფეროში;

დ) მისცეს დასკვნები ა/კსფსრ მთავრობას ამ უკანასკნელისათვის განსახილველად წარდგენილი ა/კსფსრ სახალხო მეურნეობის გეგმის თაობაზე ქიმიზაციის ამოცანების თვალსაზრისით.

4. 1-ლ მუხლში აღნიშნული კომიტეტის ორგანოები არიან კომიტეტის პლენუმი და პრეზიდიუმი.

5. კომიტეტის პრეზიდიუმის შედგენილობაში შედის სწავლული მდივანი; სწავლული მდივნის ფუნქციებს განსაზღვრავს კომიტეტის პრეზიდიუმი.

6. კომიტეტის პლენუმი განიხილავს:

ა) ა/კსფსრ სახალხო მეურნეობის ქიმიზაციის ძირითადი დირექტივების პროექტებს;

ბ) ა/კსფსრ სახალხო მეურნეობის წლიურ და საპერსპექტივო გეგმებს—ქიმიზაციის ამოცანების თვალსაზრისით;

გ) ა/კსფსრ სახალხო მეურნეობის ქიმიზაციისა და ქიმიური მრეწველობის ცალკეული დარიგებისა და საკითხების გამო წარდგენილ მოხსენებებს;

დ) კომიტეტის პრეზიდიუმის მოქმედების ანგარიშებსა და მოხსენებებს.

7. პლენუმის მუშაობის შედეგებს და მის მიერ გამოტანილ დადგენილებებს კომიტეტის პრეზიდიუმი მოახსენებს ხოლმე ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს.

8. კომიტეტის პრეზიდიუმის გამგებლობის საგანს შეადგენს:

ა) მიანდოს ა/კსფსრ დაწესებულებებს ცალკეული საკითხების შემუშავება, მოამზადოს და წარუდგინოს კომიტეტს მოხსენებები, საჭირო მასალები და და ცნობები როგორც წერილობით, ისე სპეციალური მომხსენებლების მეშვეობით;

ბ) მიიწვიოს ცალკეული პირები მოხსენებებისა და მასალების შესამუშავებლად და კომიტეტისათვის წარსადგენად—მათთვის, შეთანხმებისამებრ, შრომის სასყიდლის მიცემით და შრომის კანონმდებლობის დაცვით;

გ) წარგზავნოს თავისი წარმომადგენელნი ამა თუ იმ დაწესებულებაში ა/კსფსრ სახალხო მეურნეობის ქიმიზაციასთან დაკავშირებული საკითხების განხილვაში მონაწილეობის მისაღებად;

დ) მოიწვიოს არსებული წესისამებრ ყრილობები და თათბირები სახალხო მეურნეობის ქიმიზაციის საკითხების გამო.

9. კომიტეტს ჰყავს ტეხნიკური აპარატი, რომლის შტატიც დამტკიცდება არსებული წესისამებრ.

10. მთელ იმ მიწერმოწერას, რაც კომიტეტის სახელით სწარმოებს, ხელს მოაწერენ კომიტეტის თავმჯდომარე ან მისი მოადგილე და სწავლული მდივანი, მიწერმოწერის ხასიათის მიხედვით.

11. კომიტეტის წევრს უფლება აქვს შეიტანოს, თავისი ინიციატივით, პრეზიდიუმში განსახილველად და აგრეთვე, პრეზიდიუმის მეშვეობით, კომიტეტის პლენუმში ცალკეული საკითხები, რაც კომიტეტის კომპეტენციას შეადგენს.

12. კომიტეტის წევრს შეუძლიან დაესწროს კომიტეტის პრეზიდიუმის სხდომას სათათბირო ხმის უფლებით.

13. კომიტეტის შესანახი ხარჯები მიეკუთვნება ა/კსფსრ სახელმწიფო ბიუჯეტს ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს და უმაღლესი ეკონომიური საბჭოს საქმეთა მმართველობის ხარჯთაღრიცხვით.

14. კომიტეტის განკარგულებაშია სპეციალური ფონდი იმ, გეგმის გარეშე, საწარმოებელ სამეცნიერო და საკვლევო სამუშაოთა სუბსიდირებისათვის,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაც სამეცნიერო-ტეხნიკურ დაწესებულებათა მუშაობასთან დაკავშირებული არ არის. ეს ფონდი გაითვალისწინება კომიტეტის ხარჯთაღრიცხვით.

ფონდის ხარჯვა სწარმოებს კომიტეტის თავმჯდომარის განკარგულების თანახმად.

15. კომიტეტს აქვს საკუთარი ბეჭედი ა/კსფსრ სახელმწიფო ღერბისა და კომიტეტის სახელწოდების გამოსახულობით.

16. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს მოაწყონ ქიმიზაციის ანალოგიური კომიტეტები.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ა. ბეგზადიანი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ნ. ბახტაძე.**

1929 წ. ნოემბრის 14. ტფილისი—სასახლე.

დადგენილება № 187 ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

208. კომერციული (სამეურნეო) ანგარიშის პრინციპზე მომქმედი სახელმწიფო ორგანოებისა, შერეული სააქციო საზოგადოებებისა და კოოპერატიული ორგანიზაციების 1929-30 წლის ხარჯთაღრიცხვებით საადმინისტრაციო-სამმართველობო ხარჯების აღრიცხვის წესის შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. კომერციული (სამეურნეო) ანგარიშის პრინციპზე მომქმედმა ფედერატიული მნიშვნელობის სახელმწიფო ორგანოებმა, ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რეგისტრაციაში გატარებულმა შერეულმა საზოგადოებებმა და ა/კსფსრ კოოპერატიულმა ორგანიზაციებმა 1929-30 წლის სახარჯთაღრიცხვო დანიშნულებანი საადმინისტრაციო-სამმართველობო ხარჯებისათვის უნდა გამოიანგარიშონ შემდეგ დებულებათა საფუძველზე:

ა) 1929-30 წლის ხარჯთაღრიცხვაში არ უნდა იქნეს შეტანილი 1928-29 წლის ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებული ასიგნები ისეთი საჭიროებისათვის, რაც ამ წელიწადს იყო და წინამდებარე წელს არ განმეორდება, აგრეთვე ასიგნები სხვა საწარმოსა და ორგანიზაციისათვის გადაცემულ ფუნქციებთან დაკავშირებული ხარჯებისათვის;

ბ) 1929-30 წლის ხარჯთაღრიცხვის შედგენის დროს საადმინისტრაციო-სამმართველობო ხარჯები, 1928-29 წ. ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებულ სათანადო ასიგნებთან შედარებით, უნდა შემცირდეს აპარატის რაციონალიზაცი-

ისა და რეჟიმის ეკონომიისათვის განხორციელებულ ღონისძიებათა მიხედვით და აგრეთვე იმ ღონისძიებათა შესაბამისად, რაც გასატარებელია 1929-30 წ.;

გ) ასსიგნები იმ ახალი საადმინისტრაციო-სამმართველობო ხარჯებისათვის, რაც 1929-30 წ. ხარჯთაღრიცხვით პირველად გაითვალისწინება, შეიტანება ხარჯთაღრიცხვაში გრაფს-გარეშე—1928-29 წელს გათვალისწინებული ხარჯების ზედმეტად.

ამ ახალ ასიგნებს სახელმწიფო ორგანოები და შერეული სააქციო საზოგადოებები შეიტანენ ხარჯთაღრიცხვაში მხოლოდ იმ შემთხვევაში, უკეთუ ამისათვის არსებობს ა/კსფსრ საკანონმდებლო ან მომწესრიგებელი ორგანოების სათანადო დადგენილებანი, ხოლო კოოპერატიული ორგანიზაციები—უკეთუ არსებობს მათ წესდებაში აღნიშნული სათანადო ორგანოების დადგენილებანი;

დ) 1929-30 წ. ხარჯთაღრიცხვით ნავარაუდევი ასსიგნები საადმინისტრაციო-სამმართველობო ხარჯებისათვის,—ახალი ხარჯებისათვის გათვალისწინებული ასსიგნებითურთ,—არ უნდა აღემატებოდეს 1928-29 წ. ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებულ სათანადო დანიშნულებათ. ამ წესის გამონაკლისი შეიძლება სახელმწიფო ორგანოებისა და შერეულ სააქციო საზოგადოებების მიმართ მხოლოდ ა/კსფსრ სათანადო სახალხო კომისარიატის ნებართვით, რაც შეთანხმებულ უნდა იქნეს ა/კსფსრ მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატთან, ხოლო კოოპერატიული ორგანიზაციების მიმართ—კოოპერატიული ცენტრის ა/კსფსრ მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით.

2. მიენდოს ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატს და ა/კსფსრ-ის იმ სახალხო კომისარიატებს, რომელთა გამგებლობაშიაც იმყოფებიან სამეურნეო ანგარიშის პრინციპზე მომქმედი სახელმწიფო ორგანოები, აგრეთვე მიენდოს კოოპერატიულ ცენტრებს, ა/კსფსრ მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით, გამოსცენ ერთი კვირის ვადაზე ინსტრუქცია ამა დადგენილების შეფარდებისათვის.

3. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების მთავრობათ გამოსცენ სასწრაფო წესით ანალოგიური დადგენილებანი—რესპუბლიკანურ სახალხო კომისარიატების გამგებლობაში მყოფი სახელმწიფო ორგანოებისა, აგრეთვე შერეული სააქციო საზოგადოებებისა და რესპუბლიკანური კოოპერატიული ორგანიზაციების 1929-30 წ. ხარჯთაღრიცხვებით საადმინისტრაციო-სამმართველობო ხარჯების აღრიცხვის წესის შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ა. ბეგზადიანი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ნ. ბახტაძე.**

1929 წ. ოქტომბრის 17. ტფილისი—სასახლე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცირკულიარი № 25 ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატისა.

1929 წ. ოქტომბრის 29.

209. შრომის ბირჟების აღნუსხვაზე მყოფ თავმდგომთა შედგენილობის დემობილიზებულ პირების აღნუსხვისა და სამუშაოზე განაწილების ღონისძიებათა შესახებ.

„მუშათა და გლეხთა წითელი არმიდან და წითელი ფლოტიდან დემობილიზებულ თავმდგომთა შედგენილობის პირთა სამსახურებრივი მდგომარეობის შესახებ“ გამოცემული ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წ. სექტემბრის 26-ის დადგენილების თანახმად და ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატის მიერ „შრომის სახალხო კომისარიატის ორგანოების მოქმედების გაძლიერების შესახებ არმიიდან და ფლოტიდან დემობილიზაციით განთავისუფლებულთათვის სამუშაოს მიცემის საქმეში და მათთვის შრომითი და ნატურალური დახმარების გაწევის შესახებ“ 1928 წ. იანვრის 18-ს თარიღითა და მე-4 №-ით გამოცემული ცირკულიარის (შრ. კან. კოდ., 1929 წ., გვ. 106) დასამატებლად, აგრეთვე შრომის ბირჟების აღნუსხვაზე მყოფ თავმდგომთა შედგენილობის დემობილიზებულ პირების აღნუსხვისა და სამუშაოზე განაწილების საქმის მოსაწესრიგებლად ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატი წინადადებას იძლევა:

1. დაევალოს შრომის ბირჟებს დაამყარონ მუშათა და გლეხთა წითელი არმიიდან და ფლოტიდან დემობილიზებულ თავმდგომთა შედგენილობის პირების სპეციალური აღნუსხვა და აუცილებლად შემოიღონ მათთვის პირადი ბარათები (განსაზღვრული ფერისა).

2. მიღებულ იქნეს სასწრაფო ღონისძიება შრომის ბირჟების მუშაობის გასაძლიერებლად მუშათა და გლეხთა წითელი არმიდან და წითელი ფლოტიდან დემობილიზებულ თავმდგომთა შედგენილობის პირების სამუშაოზე გაგზავნისათვის, რისთვისაც მტკიცედ უნდა იხელმძღვანელონ მომქმედი კანონმდებლობა— სხვა უმუშევართა ჯგუფებთან შედარებით, სამუშაოზე პირველ რიგში აღნიშნულ პირთა გაგზავნის შესახებ.

3. წარმოადგინონ ხოლმე ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატში ყოველი თვის 10 რიცხვისათვის ცნობები, პროფესიონალურ კავშირთა წევრების თანაბრად, სამუშაოზე გაგზავნილ და შრომის ბირჟების აღნუსხვაზე დარჩენილ მუშათა და გლეხთა წითელი არმიიდან და წითელი ფლოტიდან დემობილიზებულ თავმდგომთა შედგენილობის პირების რიცხვის თაობაზე.

ა/კსფსრ შრომის სახალხო
კომისარი **იაშვილი.**

ა/კ. შრ. სახ. კ-ტის შრომის ბაზრის
განყოფ. გამგე **გრიგორიანი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 263 №-ში 1929 წ. ნოემბრის 16-ს.

დადგენილება № 186 ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

210. **ა/კსფსრ უმაღლეს ეკონომიურ საბჭოსთან არსებული სასტანდარტიზაციო ბიუროს დებულების დამტკიცების შესახებ.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

დამტკიცებულ იქნეს შემდეგი დებულება ა/კსფსრ უმაღლეს ეკონომიურ საბჭოსთან არსებული სასტანდარტიზაციო ბიუროს შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ა. ბეგზადიანი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ნ. ბახტაძე.**

1929 წ. ნოემბრის 14. ტფილისი—სასახლე.

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

ა/კსფსრ უმაღლეს ეკონომიურ საბჭოსთან არსებული სასტანდარტიზაციო ბიუროს შესახებ.

I. ა/კსფსრ ტერიტორიაზე სასტანდარტიზაციო მუშაობის გაერთიანებისათვის ა/კსფსრ უმაღლეს ეკონომიურ საბჭოსთან არსდება სასტანდარტიზაციო ბიურო.

II. სასტანდარტიზაციო ბიუროს დაეკისრება:

1. შეიმუშაოს სტანდარტებისა და კონდიციების პროექტები; ხელმძღვანელობა გაუწიოს ა/კსფსრ უწყებებისა, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მუშაობას სასტანდარტო ფორმებისა, რაოდენობისა, ტიპებისა, სპეციფიკაციებისა და ტეხნიკური პირობების (საერთო, სამრეწველო, სასოფლო-სამეურნეო და საავჭრო სტანდარტების) დაწესებისათვის პროდუქტებზე, მასალებზე, ნაკეთობაზე და ნაგებობაზე; აგრეთვე დაამტკიცოს მათ მიერ განსახორციელებელ სასტანდარტიზაციო სამუშაოთა გეგმები და პროგრამები—შრომისა და თავდაცვის საბჭოსთან არსებული სასტანდარტიზაციო კომიტეტის დირექტივების შესაბამისად.

შენიშვნა. რესპუბლიკანური და ფედერატიული მნიშვნელობის სტანდარტებისა და კონდიციების პროექტებს ამიერკავკასიის სასტანდარტიზაციო ბიურო შეიტანს დასამტკიცებლად ა/კსფსრ უმაღლეს ეკონომიურ საბჭოში. საერთო-საკავშირო მნიშვნელობის პროექტები, ა/კსფსრ უმაღლესი ეკონომიური საბჭოს მეშვეობით, წარედგინება დასამტკიცებლად შრომისა და თავდაცვის საბჭოსთან არსებულ სასტანდარტიზაციო კომიტეტს.

2. შეიმუშაოს სასტანდარტიზაციო სამუშაოთა საპერსპექტივო გეგმები და პროგრამები.

3. შეიმუშაოს სტანდარტიზაციის საორგანიზაციო და მეთოდოლოგიური საკითხები.

4. მოაწყოს მუშაობა არსებული სტანდარტების გადასინჯვისა და ახალი სტანდარტების პროექტების შემუშავებისათვის.

5. მისცეს დასკვნები შრომისა და თავდაცვის საბჭოსთან არსებული სასტანდარტიზაციო კომიტეტისა და ცენტრალური და რესპუბლიკანური დაწესებულებების სასტანდარტო ბიუროების მიერ შემუშავებული სტანდარტებისა, კონდიციებისა და ტეხნიკური პირობების პროექტების თაობაზე.

6. აღნუსხოს გამოცემული სტანდარტები და კონდიციები, მოახდინოს სასტანდარტიზაციო მასალების კლასიფიკაცია და შეადგინოს საქონლის ნომენკლატურა და სტანდარტების ცნობარი.

7. მოაწყოს სისტემატიური აღნუსხვა და მეთვალყურეობა გაუწიოს ა/კსფსრ-ში სტანდარტიზაციისათვის საჭირო სამუშაოთა სათანადოდ და თავის დროზე ჩატარებას და სავალდებულო სტანდარტების დამყარებისათვის შესაფერ ღონისძიებათა განხორციელებას.

8. განახორციელოს საინფორმაციო კავშირი იმ სამეცნიერო-სატეხნიკო, სამეურნეო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან, რომლებიც სტანდარტიზაციის საკითხების სფეროში მუშაობენ; მოიწვიოს ხოლმე თათბირები და კონფერენციები, მუშაობაში მონაწილეობისათვის დაინტერისებულ დაწესებულებათა და ორგანიზაციათა წარმომადგენლებისა და აგრეთვე ექსპერტ-სპეციალისტების მიწვევით.

III. ამიერკავკასიის ბიუროს შესანახი ხარჯები შეიტანება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს და უმაღლესი ეკონომიური საბჭოს საქმეთა მმართველობის ხარჯთაღრიცხვაში.

IV. სასტანდარტიზაციო ბიუროს აქვს ბეჭედი სახელმწიფო ღერბისა და მისი სახელწოდების გამოსახულობით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეცდომის გასწორება

ა/კსფსრ კან. კრ. 1929 წ.
მე-18 №-რი, მუხ. 168, გვ. 394, მე-4 პუნ.

დაბეჭდილია:	უნდა იყოს:
„....ის დადგენილება, რომელიც გამოქვეყნებულ იქნება არა ნაკლებ, ვიდრე ოთხი თვით ადრე საბიუჯეტო წლის დაწ-ყებამდე...	„...ის დადგენილება, რომელიც გამოქვეყნებულ იქნება ოთხ თვეზე უფრო გვიან საბიუჯე-ტო წლის დაწყებამდე“.

საქართველოს სახკომსაბჭოს სტამბა.
მთავლ. № 239. ტირაჟი № 850.